ჩანს სპეციალური მითითება იმის შესახებ, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანასწორი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები აქვთ; საქართველოს კონსტიტუცია ორივე სქესის წარმომადგენლთათვის იყენებს სიტყვებს: "ადამიანი", "მოქალაქე" ან "პირი". მაგალითად, მე-18 მუხლის პირველი პუნქტი: "ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუხებელია". კანონმდებლები, კონსტიტუციაში, "ადამიანს", "მოქალაქეს" ან "პირს", ორივე სქესის მნიშვნელობით ხმარობენ და ამით მიუთითებენ, რომ არ არსებობს მოქალაქეების განსხვავების აუცილებლობა სქესის საფუძველზე.

კონსტიტუციაში, ქალები, მხოლოდ ორჯერ არიან მოხსენიებულნი. . კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში, რომელიც მიუთითებს, რომ "არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით", არასრულწლოვანთა გვერდით ქალების მოხსენიება, რაც ხაზს უსვამს, სახელმწიფოს მიერ, მათი შრომის პირობების სპეციალური კანონით დაცვის საჭიროებას, მიანიშნებს იმაზე, რომ კონსტიტუციის შემქმნელები აღიარებენ, (თუმცა, ეს აშკარად არ არის გაცხადებული), არასრულწლოვნების მსგავსად, ქალების საგანგებო დაცვის აუცილებლობას.. 36-ე მუხლში ლაპარაკია ქალებზე, მხოლოდ როგორც მეუღლეებსა და დედებზე: "ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას" და იქვე, მე-3 პუნქტით, გაცხადებულია, რომ "დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია".

,,გენდერულად ნეიტრალური" ენა და სქესობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგადი აღიარება, გვხვდება ქვეყნის თითქმის ყველა, ძირითად საკანონმდებლო აქტში.[3] თუმცა, ამ კანონების ზოგად დებულებებს, არ ახლავთ აღსრულების ქმედითი სამართლებრივი მექნიზმები და კონკრეტული ზომების ჩამონათვალი ამ თანას-

3. საქართველოს შრომის კოდექსი, კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და მისი მე-5 ნაწილი - საოჯახო სამართალი, კანონი საქართველოს საშუალო განათლებაზე, კანონი საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ, კანონი ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა, საქართველოს საარჩევნო კოდექსი და ა.შ.

In the Constitution, women are mentioned only twice; in article 30, paragraph 4: "the working conditions of minors and women are determined by the law". This mention of women together with minors, which underlines the need for the state protection of their labor rights by special legislation, indicates that although it is not explicitly stated, the creators of the Constitution acknowledge that women, like minors, need special protection. The second mentioning of women – though only as spouses and mothers – comes in Article 36, which states that: "marriage is based upon the equality of rights and free will of spouses" and below, Paragraph 3 states: "the rights of mothers and children are protected by law".

The "gender neutral" language and general recognition of the non-discrimination on the basis of sex could be found in almost all the major legislative acts of the country.[3] However, each of these general provisions are not complemented with realistic legal mechanisms, concrete measures for ensuring equality. For example, the Election Code of Georgia recognizes equal active and passive political rights of men and women. However, the lack of special measures (either temporary or permanent) that would make this general provision operational results in gender inequality in the realization of passive electoral right and extremely low representation of women in the elected bodies.

The Georgian legislation does not use the term "Gender Based Violence" (GBV). However, the

3. Labor Code of Georgia, Law on Public Service of Georgia, Civil Code of Georgia and its V part- Family Law, Law of Georgia on Secondary Education, Law of Georgia on High Education, Law of Georgia on Elimination of Domestic Violence, Protection of and Support to its Victims, Election Code of Georgia, etc.

წორობის უზრუნველსაყოფად. მაგალითისათვის მოვიტანთ საარჩევნო კოდექსს, რომელიც აღიარებს ქალისა და მამაკაცის თანაბარ, პასიურ და აქტიურ საარჩევნო უფლებას, თუმცა ამ უფლების უზრუნველმყოფი, კონკრეტული სამართლებრივი ნორმების არარსებობა, იწვევს პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის დისბალანსს.

საქართველოს კანონმდებლობაში, არ იხმარება ტერმინი, "გენდერულ ნიადაგზე ძალადობა", მაგრამ კანონი, "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" და კანონი ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", არეგულირებს, სწორედ, გენდერულ ნიადაგზე ძალადობასთან ბრძოლის საკითხებს. აღნიშნულ ტერმინს, ვერ ვხვდებით, ვერც 2010 წლის 26 მარტს მიღებულ კანონში "გენდერული თანასწორობის შესახებ". სისხლის სამართლის კოდექსი, დანაშაულად აცხადებს "ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევას" (მუხლი 142). კოდექსის XXII თავი შეეხება "დანაშაულს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ". [4]

მიუხედავად, უკანასკნელ წლებში განხორციელებული, გარკვეული ცვლილებებისა დემოკრატიული განვითარების გზაზე, ქალის უფლებებს და გენდერული თანასწორობის პოლიტიკას, ადეკვატური ყურადღება არ ექცევა. გენდერული თანასწორობის პრინციპის გაცნობიერება სახელმწიფოს მიერ, კვლავ პრობლემად რჩება, ამაზე მიუთითებს, 2007-2009 წლებში, ამ საკითხებზე შექმნილი არამდგრადი ინსტიტუციური მექანიზმები ხელისუფლების აღმასრულებელ შტოში. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისთვის, სახელმწიფოს მხრიდან გაღებული, არასაკმარისი რესურსები

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXII, დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ. მუხლი 137. გაუპატიურება; მუხლი 138. სექსუალური ძალადობა; მუხლი 139. იძულებითი სახის სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვა ძალადობრივი ქმედება; მუხლი 140. იძულებითი სახის სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვა ძალადობრივი ქმედება 16 წელს დაბლა მოზარდთან.

Law of Georgia on Elimination of Domestic Law Violence, Protection of and Support to its Victims and the Law of Georgia on Combating Trafficking in Human Beings regulate different aspects and manifestations of GBV. Gender Based Violence does not appear either in the Law of Georgia on Gender Equality (adopted on 26 March 2010), which however introduces and condems sexual harrasment at workplace. It is noteworthy, that the Criminal Code of Georgia criminalizes infinging upon the equality of persons (Art. 142) and its Chapter XXII concerns "Crimes against Sexual Freedom and Inviolability".[4]

Despite certain positive changes on the path towards building a democratic state in the recent years, adequate attention is not paid to women's rights and gender equality issues on policy-making level. Insufficient resources provided by the government to implement the Gender Equality National Action Plan of 2007-2009 and the lack of the political will, especially in the executive branch of the government to tackle inequality problems, leads to ineffective protection of women's rights and slow progress towards enhanced gender equality.

The low level of citizens' human rights, especially women's rights awareness is a result of the lack of special gender sensitive programs for small business development, youth education (starting from secondary to higher education institutions), promotion of zero tolerance to violence against women, etc. Civil society – wom-

4. Criminal Code of Georgia, Chapter XXII, Crime against sexual freedom and inviolability. Art. 137. Rape; Art.138. Sexual abuse under violence; Art. 139. Coercion into sexual intercourse or other action of sexual character; Art.140. Sexual intercourse or other action of sexual character with one under sixteen.

და პრობლემების გადასაჭრელად პოლიტიკური ნების არარსებობა, განსაკუთრებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში, განაპირობებს, ქალის უფლებათა არაეფექტურ დაცვას და სუსტ პროგრესს გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

საზოგადოების დაბალი სამართლებრივი მართლშეგნების, განსაკუთრებით კი, ქალის უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის, სპეციალური, გენდერულად სენსიტიური, მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამების არარსებობის, ახალგაზრდების განათლების (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან უმაღლეს სასწავლებლებამდე), სპეციალური გენდერული პროგრამების არქონის, ქალთა მიმართ ძალადობისას "ნულოვანი ტოლერანტობისა" და ა.შ. გამო, დაბალია, სამოქალაქო სექტორის ინიციატივები ქალთა და გენდერული საკითხების აქტუალიზაციის კუთხით. სამოქალაქო საზოგადოება და ქალთა უფლებების დამცავი არასამთავრობო ორგანიზაციები, ცდილობენ შეავსონ ეს დანაკლისი, მაგრამ მათი რესურსები შეზღუდულია, საქართველოში ქალთა, მამაკაცთა, ვაჟთა და გოგონათა საჭიროებების გათვალსიწინებით.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი და CEDAW კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს, განაგრძოს მუშაობა, რათა აღმოფხვრას გენდერული სტერეოტიპები და ხელი შეუწყოს, სასკოლო პროგრამებში, გენდერის საკითხებზე სწორი შეხედულებების დანერგვას. CEDAW კომიტეტის რეკომენდაციების თანახმად, უნდა გაიზარდოს, საგანმანათლებლო სფეროში დაკავებული კადრების ტრენინგი გენდერული თანასწორობის კუთხით. კომიტეტი მოითხოვს სახელმწიფოსაგან, გაავრცელოს ინფორმაცია საგანმანათლებლო სისტემაში, ადამიანის უფლებებისა და გენდერის საკითხებზე, (კონვენციის მიხედვით), რათა შეიცვალოს უკვე არსებული სტერეოტიპები ქალისა და მამაკაცის თანასწორობასთან მიმართებაში.

2007 წლის 26 სექტემბერს, №211 დადგენილებით, შეიქმნა საქართველოს გენდერული

en's rights NGOs are trying to cover this gap but their resources are limited in comparison with the different needs of women, men, boys and girls of Georgia.

The UN Human Rights Committee and CEDAW Committee have repeatedly called on the State to continue its work in order to eliminate discriminatory gender stereotypes and incorporate gender-sensitive education into the school programs. CEDAW Committee recommends intensifying the training of staff involved in the education sector on women's rights and gender equality issues. The Committee requests the State to disseminate the information about the Convention in the educational institutions in order to alter existing stereotypes on the roles and responsibilities of men and women that lead to unequal distribution of labor, resources and reaffirm gender inequality.

On September 26, 2007, through Order N211, there was established the Interagency Governmental Commission on Gender Equality Issues and respective "Action Plan on carrying out gender equality policy in Georgia in 2007-2009" was elaborated and adopted on the same day. However, the Commission proved to be ineffective (it was never convened since it establishment) and the Action Plan was carried out with significant deficiencies.[5] On this background, the legislative branch of the government is showing more progress where there was established a Council on Gender Equality Issues in December 2004, which has greatly stipulated the adoption of the State

5. See Ketevan Chkheidze, Irma Aladashvili, Monitoring of the Progress Implementation of the National Action plan on Gender Equality, Tbilisi, 2009.

თანასწორობის შემმუშავებელი უწყებათა-შორისი კომისია, მომზადდა და 2007 წლის 26 სექტემბერს, საქართველოს მთავრობის №539-ე განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმა", რომელიც განხორციელდა მნიშვნელოვანი ხარვეზებით.[5] ამ მხრივ, საკანონმდებლო ორგანომ მეტ პროგრესს მიაღწია, რადგან 2004 წლის დეკემბერში, დაარსა, პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული, გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო, რამაც ხელი შეუწყო 2006 წელს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის შემუშავებას და 2010 წლის მარტში, პარლამენტის მიერ, "გენდერული თანასწორობის შესახებ" კანონის მიღებას. კანონმა, ,,გენდერული თანასწორობის შესახებ", გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს, მიანიჭა, მუდმივმოქედი ორგანოს სტატუსი და აქცია მთავარ პასუხისმგებელ სტრუქტურად, ეროვნული კოორდინაციის, შეფასების, გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და კანონმდებლობის იმპლემენტაციის მონიტორინგის საქმეში.

,,გენდერული თანასწორობის შესახებ" კანონი აწესებს, კონკრეტულ მექნიზმებს და გზებს, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების რეალიზაციისათვის და ცდილობს გადმოიტანოს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საერთაშორისო სტანდარტები ეროვნულ კანონმდებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ კანონი საჭიროებს დახვეწას (რასაც ქვემოთ განვიხილავთ), იგი პოზიტიური ნაბიჯია და ძლიერი მექნიზმია, საქართველოში გენდერულ თანასწორობასა და ქალთა უფლებებზე ცნობიერების ასამაღლებლად. ქალთა უფლებების დამცავი არასამთავრობო ორგანიზაციები, რეკომენდაციას უწევენ, გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, აღმასრულებელი ხელისუფლების ჩაბმისათვის კანონის იმპლემენტაციის საქმეში,

5. იხ. ქეთევან ჩხეიძე, ირმა ალადაშვილი; გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი, თბილისი, 2009

Concept on Gender Equality Issues in 2006 and then the Law of Georgia Gender Equality in March 2010. The Gender Equality Law has granted the Parliamentary Council on Gender Equality Issues a permanent status, transforming it into the main state structure responsible for national coordination, elaboration, and monitoring of implementation of gender equality policies and legislation.

In addition, the Gender Equality Law sets forth concrete mechanisms, and ways for the realization of the rights declared in the Constitution and tries to translate international women's rights and gender equality standards into Georgian national legislation. Although, the Law needs further improvements (discusses below) it is a very positive step and a powerful mechanism for awareness raising on gender equality and women's rights issues in Georgia. It is the strong recommendation of women's NGOs to the Parliamentary Council on Gender Equality Issues to do its best to ensure strong involvement of the executive branch of the government in the implementation of the Law and formation and implementation of the national gender equality policy. Women's rights NGOs are concerned that legislative branch of the government alone cannot ensure full-fledged implementation of the Law. Moreover, there needs to be established a special forum/space for civil society representatives' (women's rights NGOs, scholars, media) informed participation in the elaboration of relevant gender equality policies and laws at the Parliamentary Council for Gender Equality Issues. Especially, given the fact that women's NGOs were invited members of the Advisory Council on Gender Equality Issues at the

ასევე, ეროვნული გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფორმირებასა და იმპლემენტაციაში. ქალთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, შეშფოთებას გამოხატავენ და მიუთითებენ, რომ მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს არ შეუძლია მოახდინოს კანონის ყოველმხრივი იმპლემენტაცია. საჭიროა, გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოში, შეიქმნას სპეციალური ფორუმი, სივრცე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლთათვის (ქალთა უფლებების არასამთავრობო ორგანიზაციები, მკვლევარები, მედია), გენდერული თანასწორობის შესაბამისი პოლიტიკისა და კანონების შესამუშავებლად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს მიწვეული წევრები, როდესაც საბჭო ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მუდმივმოქმედ ორგანოს.

კანონი, "გენდერული თანასწორობის შესახებ", წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ გააჩნია გარკვეული ხარვეზები: კანონი დეკლარაციული ხასიათისაა, პრინციპების დონეზე წარმოაჩენს გენდერული თანასწორობის პათოსს, ახდენს შრომის კანონმდებლობის, საოჯახო სამართლის და სხვა სფეროებში, სამართლებრივ დონეზე გაბატონებული დებულებების აკუმულირებას, თუმცა არ მიუთითებს, აღნიშნული პრინციპების აღსრულების ხელშემწყობ მექანიზმებზე:

1. არ იკვეთება იმ პირთა ვალდებულებების ჩამონათვალი, რომელთა ხელშია გადაწყვეტილების მიღების ბერკეტები, რამეთუ ამ ბერკეტების მქონე სუბიექტების მიერ, უნდა განხორციელდეს ეფექტური გენდერული პოლიტიკა ქვეყანაში;
2. არ არის გაწერილი პროცედურული ღონისძიებები, პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის პირობებში, დისკრიმინირებულ პირთა უფლებების დაცვა;

Speaker of the Parliament, when it was still a temporary and not yet a standing body.

The Gender Equality Law is a step forward, but it has some deficiencies, namely, it is more declarative than practical in its character. It sets forth the pathos of gender equality on the level of principles, accumulates existing provisions, in the labor, family and other spheres of life, but, the Law does not indicate the supporting mechanisms for actual implementation of these principles:

1. there is no enumeration of obligations of the executive branch officials, who have the decision-making capacity and are entrusted with the implementation of gender equality policy in the country.
2. there is no set of procedures on how to protect human rights of victims of direct or indirect discrimination on the basis of sex;
3. upon affirming the fact of discrimination or sexual harassment, there exists no established compensation and the rule for paying damages.
4. there exists no list of specific forms the discrimination on the basis of sex can take in different areas (such as for instance political life, social protection, healthcare, etc.). 5. And even though the State Concept on Gender Equality (adopted in 2006) introduced the concept of "gender mainstreaming" it has unfortunately, remained outside the scope of the Gender Equality Law.

3. დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, არ არის გაწერილი კომპენსაციის ოდენობა და მისი გადახდის წესი;

4. არ არსებობს დისკრიმინაციის კონკრეტული ფორმების ჩამონათვალი. მაგ.: შრომის, სოცუზრუნველყოფის, ჯანდაცვის, განათლების სფეროების მიხედვით;

5. კანონის რეგულირების გარეთ რჩება ისეთი საკითხი,(ტერმინი),როგორიცაა "გენდერული მეინსტრიმინგი", რომელიც ჩადებული იყო, 2006 წელს მიღებულ, გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციაში.

რეკომენდაცია

- მიზანშეწონილია, საქართველოში მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმისას, სახელმწიფო კომისიამ გაითვალისწინოს, ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-2 მუხლი და საერთაშორისო პაქტისა და სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-3 მუხლის მსგავსად, კონსტიტუციის ტექსტში შეიტანოს, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის განსაზღვრის ახალი, საკანონმდებლო კონსტრუქცია.
- სახელმწიფოს მხრიდან, შემუშავდეს, საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების მონიტორინგის ინდიკატორები;
- ეროვნული სასწავლო პროგრამებით (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ), განისაზღვროს გენდერული საკითხების სავალდებულო სწავლება სკოლებში და გენდერულ საკითხთა სწავლების კომპონენტის ჩართვა პედაგოგთა უწყვეტი განათლების სისტემაში;
- დროულად წარიმართოს მუშაობა, გენდერული თანასწორობის 2010-2012 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზი და სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულად ორინეტირებული იქნას.

Recommendations:

1. The State Commission on Constitution while implementing the constitutional reform in Georgia, should take into account Art.2 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women and incorporate the definition of equality between men and women within the new Constitution in compliance with the internationally set standards;
2. The state should elaborate indicators to monitor gender equality work of legislative and institutional mechanisms;
3. Through national educational program (by the Ministry of Education and Science) gender education should be introduced in schools and the component of gender education should be incorporated in the teachers' continuing education program;
4. Timely measures should be taken to elaborate 2010-2012 National Action Plan on Gender Equality. State budget should be analyzed from the perspective of responsiveness to different needs of women, men, boys and girls;
5. Needed financial resources should be allocated from the state budget to carry out the National Action Plan on Gender Equality 2010-2012;
6. Gender equality principles must be considered (gender mainstreaming) in planning and implementation of state policies in different spheres;

Political Rights: The legislation of Georgia recognizes the equality of men and women in realization of their civil and political rights. The legislation of Georgia[6] grants equal political rights to men and women. Women comprise over 59% of the elector-

6. See Ketevan Chkheidze, Irma Aladashvili, Monitoring of the Progress Implementation of the National Action plan on Gender Equality, Tbilisi, 2009.

- შესაბამისად, სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტში გამოიყოს საჭირო ფინანსური რესურსები;
- განხორციელდეს გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება (გენდერული მეინსტრიმინგი), სხვადასხვა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში.

პოლიტიკური უფლებები. საქართველოს კანონმდებლობით[6] აღიარებულია, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა, მათ მიერ, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებით სარგებლობისას. საქართველოს კანონმდებლობა, ქალს და მამაკაცს თანაბარ, პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებს. ქალები შეადგენენ ელექტორატის 59%-ზე მეტს და თანაბრად, აქტიურად მონაწილეობენ არჩევნებში (აძლევენ ხმას), როგორც სოფლად, ისე ქალაქებში.[7] მიუხედავად ამისა, ქალთა ჩართულობის დონე, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, დაბალია. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პარტიების წევრთა 30% ქალები არიან.[8] პარტიული სიებით ისინი ძალზე იშვიათად არიან წარმოდგენილნი, როგორც პოლიტიკური პარტიის ლიდერები.

1995, 1999 და 2004 წლების მოწვევის პარლამენტებში, ქალები, შესაბამისად შეადგენდნენ 7%, 6,4% და 9,4%-ს, (მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლის მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე იყო ქალი და 3 კომიტეტს ქალები ხელმძღვანელობდნენ). ამჟამად, ქალები შეადგენენ პარლამენტის წევრთა მხოლოდ 6%-ს. ეს ფაქტი მიუთითებს კულტურულ, საკანონმდებლო და შიდაპარტიულ ბარიერებზე, რაც ხელს უშლის, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა როლის გაძლიერებას და შესაბამისად, იწვევს

6. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 2001, მუხლი 5;

7. ნანა სუმბაძე, გენდერი და საზოგადოება: საქართველო, თბილისი, 2008, გვ. 35.

8. მაია კუპრავა-შარვაშიძე, საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის არსებული სიტუაცია, თბილისი, 2006 , იხ. რეალობა: ქალთა თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები საქართველოში, გვ.18.

ate and they are equally active voters in villagers, as well as in cities[7]. Still, the level of women's participation in the political decision-making is low. It is noteworthy that 30% of political party members are women[8], in the parties they occupy lower positions and only rarely are represented in the party leadership. The fact that at present women account only for 6% of Members of the Parliament is indicative of the cultural, legislative and internal party barriers hinder women's political empowerment (in the parliaments elected in 1995, 1999, and 2004 women comprised 7%, 6.4%, and 9.4% respectively.) Considering the low representation of women in the Parliament, it has to be noted that in the 2004-2008 Parliament was chaired by a woman and women obtained 3 committee heads' posts. The low representation of women in the parliament results in the low interest of discussing dealing with issues related to women[9].

The political party lists for the 2008 parliamentary elections did not indicate the increase of women's participation in party leadership. In the 12 entities registered for the elections (blocks and independent parties), only 9.2% of women were on top positions of party lists from 1 up to 10, 20.8% from 11 up to 20 and 15% from 21 to 30. In sum, women comprised 22.5% in the party lists and very little number had the chances of getting elected. Out of majoritarian candidates, women comprised 10.1 percent[10]. In 2008 parliament the deputy head of the Parliament is a woman, who also chairs the Parliamentary Council on Gender Equality Issues and is a great supporter of women's rights groups.

7. Nana Sumbadze, Gender and Society: Georgia, Tbilisi, 2008, page.35

8. Maia Kuprava-Sharvashidze, Saqartveloshi qalta politikuri monatsileobis arsebuli situatsia (The Situation around Women's Political Participation in Georgia,) Tbilisi, 2006, see Reality: Women's Equal Rights and Equal Opportunities in Georgia,. page. 18.

9. Cynical and ironic remarks of male parliamentarians while discussing the draft law on domestic violence in February 2006 can serve as an example confirming this.

10. Nana Sumbadze, Gender and Society: Georgia, Tbilisi, 2008, page.42

ქალთა საკითხების განხილვისა და გადაწ-ყვეტისადმი დაბალ ინტერესს. [9]

2008 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური პარტიების სია, ვერ მიგვანიშნებს პარტიის ხელმძღვანელობაში ქალების მონაწილეობის გაზრდაზე. არჩევნებში დარეგისტრირებულ 12 ერთეულს შორის (ბლოკები და დამოუკიდებელი პარტიები), პარტიულ ი სიებ ის პირველ ათეულ ში, ადგილები, ქალების მხოლოდ 9,2%-ს ეკავა, მეორე ათეულში -20,8%-ს, ხოლო მესამეში-15%-ს. . საერთო ჯამში, ქალები პარტიული სიების 25.5%-ს, ხოლო მაჟორიტარი კანდიდატების -10,1%-ს შეადგენდნენ.[10] არჩევის შანსი, მათგან ძალზე მცირე რაოდენობას ჰქონდა.

2008 წლის მოწვევის პარლამენტში, პარლა-მენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე ქალია, რომელიც აგრეთვე თავმჯდომარეობს გენდერული თანასწორობის საპალამენტო საბჭოს და მხარს უჭერს ქალთა უფლებების დამცველთა ჯგუფებს. ამ პარლამენტში, მხ-ოლოდ ერთ კომიტეტს ხელმძღვანელობს ქალი და მხოლოდ სამ მათგანს უკავია კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობები. ქალთა რიცხვი, ადგილობრივი თვითმმართ-ველობის ორგანოებში, თანდათანობით მცირდებოდა. ქალთა რაოდენობა, 1998 წლის ადგილობრივ არჩევნებში, 2002 წელს, 14%-დან 12%-მდე დაეცა. 2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნების შედეგებით, 1750 არჩეული პირი-დან 195, ანუ 11,14% იყო ქალი. 2006 წლის მაი-სის მონაცემებით, საქართველოს არც ერთი ქალაქის მერი ქალი არ გამხდარა. ქალების მცირე რაოდენობა იყო საკრებულოებშიც, არ-ჩეული 989 წევრიდან, ქალი იყო 54 (მხოლოდ 5,5%).[11] სამართლებრივი გარემო, ქალთა ადგილობრივ ორგანოებში მონაწილეობასთან

9. 2006 წლის თებერვალში ოჯახში ძალადობის კანონის განხილვისას ციინიკური და ირონიული შენიშვნები მამრობითი სქესის დეპუტატების მიერ ამის დამადასტურებელი მაგალითია.

10. ნანა სუმბაძე, გენდერი და საზოგადოება: საქართველო, თბილისი, 2008, გვ.42

11. ლია სანიკიძე, რეალობა: ქალთა თანაბარი უფლებები და შესა-ძლებლობები საქართველოში, გვ.17

In addition, only one head of the Parliamentary committee and 3 deputy heads are women.

The number of women in local self-governance bodies has been decreasing from election to election. From 14% after the local elections of 1998, the percentage of women dropped to 12% in 2002. As a result of 5 October 2006 elections, only 195 out of 1,750 elected individuals, i.e. 11.14%, were women. According to May 2006 data no cities in Georgia had women as mayors and only 5.5% of the chairs of sakrebulo - local representative bodies - were women (i.e. among 989 chairpersons there were only 54 women)[11]. The legal environment is far from favorable for women's participation in the bodies of local self-governance, partially due to the large self-governing units, as well as existence of single-mandate election constituencies[12]. The 2010 local government elections have also resulted in low number of elected women – out of 1688 totally elected MPs only 169, i.e. 10% are women[13].

Women are a minority in the cabinet as out of 19 ministers only 2 are women[14]. The gender balance situation is much better in the judicial branch according to the 2008, there are 94 women and 74 men in the Supreme Court of Georgia, 167 women and 95 men in City Court; and there are 117 women and 75 men in District Court judges in all court instances[15].

11. Lia Sanikidze, et al., Reality: Women's Equal Rights and Equal Opportunities in Georgia, 17.

12. See Tamar Bagratia, Elections of the Bodies of Local Self-Governance and Women's Participation, Discussion Paper, Gender Development Association, September 2006.

13. Official data provided by the Central Election Commission on 12 July 2010.

14. Government of Georgia, official web-page, available on-line at: www.government.gov.ge>

15. Nina Tsikhistavi, Nana Berekashvili, Gender Equality in Georgia: 2006-2008 Report, Caucasus Women's Network, Tbilisi, 2009, page 22.

დაკავშირებით, არც თუ ისე სახარბიელოა, რისი მიზეზიც, გარკვეულწილად, თვითმმართველობის მსხვილი ერთეულების და ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების არსებობაა.[12] 2010 წლის ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნები, ასევე, არჩეული ქალების დაბალი რიცხვით დასრულდა. პარლამენტის 1688 არჩეული წევრიდან, მხოლოდ 169, ანუ 10% იყო ქალი.[13]

ქალები, მთავრობაშიც უმცირესობას შეადგენენ - 19 მინისტრიდან მხოლოდ ორია ქალი.[14] მდგომარეობა, გენდერული ბალანსის მხრივ, ბევრად უკეთესია სასამართლო ორგანოებში. 2008 წლის მონაცემებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში 94 ქალი და 74 მამაკაცი მუშაობდა; თბილისის საქალაქო სასამართლოში — 167 ქალი და 95 მამაკაცი; თბილისის სააპელაციო სასამართლოში, 2008 წელს - 117 ქალი და 75 მამაკაცი იყო.[15]

საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, რომლიც მიზნად ისახავს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მიუთითებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე არჩევნების პროცესში, კანონი არ ქმნის ქმედით მექანიზმებს თანასწორობის უზრუნველსაყოფად.[16]

In Georgia there exists no state policy aimed at increasing women's political participation. Even though the 2010 Law on Gender Equality refers to the equality of men and women in election process, the law does not create substantial mechanisms ensuring the equality[16].

Recommendations:

1. The state to put in place relevant temporary special measures to ensure increased participation of women in political decision-making processes at central as well as local levels;
2. The state to demonstrate commitment to women's empowerment issues through increased engagement of the executive branch of the government in gender equality policy formation and implementation processes;
3. The State to provide funding from the state budget to the Parliamentary Council on Gender Equality Issues to ensure its smooth operation (to cover both administrative as well as programmatic costs);
4. To establish a civil society advisory group at the Parliamentary Council on Gender Equality issues comprising of the representatives women's NGOs, academia, and media;

Domestic Violence: In 2006 the Parliament of Georgia adopted the Law of Georgia on Elimination of Domestic Violence, Protection of and Support to its Victims. The first amendments

12. იხ. თამარ ბაგრატია, ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნები და ქალთა მონაწილეობა, სადისკუსიო დოკუმენტი, გენდერის განვითარების ასოციაცია, სექტემბერი, 2006.

13. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემები, 12 ივლისი, 2010 14. საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ. გვერდი, ხელმისაწვდომია: www.government.gov.ge

15. ნინა ციხისთავი, ნანა ბერეკაშვილი, გენდერული თანასწორობა საქართველოში: 2006-2008 წლის ანგარიში, კავკასიის ქალთა ქსელი, თბილისი, 2009, გვ.22

16. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 11. თანასწორი საარჩევნო უფლებების გარანტიები: 1. ყველას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე. 2. წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ორივე სქესის პირთათანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა. 3. ქალები და მამაკაცები შეიძლება არჩეულ იქნენ თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე.

16. The Law of Georgia on Gender Equality, Article 11. Guarantees for Equal Rights to Vote: 1.Everyone has the right to take part in elections under equal conditions and without discrimination. 2. While exercising the right to vote in a representative body, the possibility of equal participation for men and women shall be provided. 3. Women and men shall be elected under equal conditions without discrimination.

რეკომენდაცია:

1. გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში და პოლიტიკურ სრტუქტურებში (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე), ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად, სახელმწიფომ გააატაროს შესაბამისი სპეციალური ზომები;
2. გენდერული თანასწორობის და ქალთა საჯარო თანამდებობებზე დაწინაურების ხელშესაწყობად, ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბდეს მდგრადი ინსტიტუციონალური მექანიზმები;
3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს თანხები, გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის უზრუნველსაყოფად (როგორც ადმინისტრაციული, ისე პროგრამული დაფინანსებისათვის).

ძალადობა ოჯახში. 2006 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ". 2009 წლის დეკემბერში, კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის ინიცირება გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, რუსუდან კირვალიშვილმა მოახდინა. კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები.[17]

კანონი "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" განსაზღვრავდა, რომ მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვას, ძალაში შევიდოდა 2008 წლის იანვარში,[18]

17. სამხრეთ კავკასიის გენდერული საინფორმაციო ქსელი, ოჯახში ძალადობის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფი, ხელმისაწვდომია: www.ginsc.net/main.php?option=view_article&mode=0&article=9981&lang=ge

18. ოჯახში ძალადობის კანონის მიხედვით, თავი VII, მუხლი 22, მე -8 მუხლი სოციალურ მომსახურებასთან დაკავშირებით; 17, 18, და 19 მუხლები მსხვერპლთა დროებით საცხოვრებელთა (თავშესაფრები) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრებთან დაკავშირებით; მუხლი მე-20 მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების შესახებ ძალაში შევიდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

to the Law were made in December 2009 and were initiated by Ms. Rusudan Kervalishvili, the Vice-Speaker of the Parliament and the Chair of the Parliamentary Council on Gender Equality Issues. The Women's NGOS have participated greatly in the drafting as of the Domestic Violence Law as well as in the amendments to the Law[17].

The Law provided that provisions regarding establishment of shelters for the victims of domestic violence would enter into force in January 2008[18], which has not been the case. For the time being there exist only four NGO-run shelters in the country that are unable to meet increasing demand on shelter and social services. The Government of Georgia has established the Interagency Council on the Measures to Eliminate Domestic Violence, on 28 December 2008. The main responsibility of the Council is to support the implementation of the above mentioned Domestic Violence Law. The Council, in close collaboration with the State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking and Domestic Violence[19] and assistance from international development organizations, especially Sida and UNIFEM, is in the process of establishing two shelters and a nation-wide hotline for the victims/survivors of domestic violence. The establishment of state supported shelter and a hotline for victims of do-

17. Gender Information Network of South Caucasus, Special Group for Investigating Violence in the Family, available on-line at: www.ginsc.net/main.php?option=view_article&mode=0&article=9981&lang=ge

18. According to the Domestic Violence Law, Chapter VII, article 22 of the Law, article 8 with regard to social service, articles 17, 18, and 19 with regard to the establishment and functioning of shelters for domestic violence victims, and article 20 about the establishment of rehabilitation centers for the perpetrators should have entered into force from 1 January 2008.

19. The Fund has been assigned by the government to work on domestic violence issues on the eve of 2009, for the time being it is in the process of changing its decree and title to reflect the new mandate.

რაც არ მომხდარა. დღესდღეობით ქვეყანაში არსებობს მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების 4 თავშესაფარი, რაც, ვერ აკმაყოფილებს, თავშესაფრებსა და სოციალურ მომსახურებაზე მზარდ მოთხოვნას. 2008 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ შექმნა, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო. საბჭოს მთავარი მოვალეობაა, ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონის იმპლემენტაციის ხელშეწყობა. საბჭომ, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით,[19] ასევე საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციების, განსაკუთრებით Sida-ს და UNIFEM-ის მხარდაჭერით, მოაწყო ორი თავშესაფარი. ასევე, საქართველოს მასშტაბით მუშაობს ცხელი ხაზი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის. თავშესაფრისა და ცხელი ხაზის შექმნა, (სახელმწიფოს მხარდაჭერით), სექსუალური ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, პრიორიტეტად იქნა მიჩნეული 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს, „საქართველოს ერთობლივი საჭიროებების შეფასების“ მიხედვითაც. [20]

არანაკლებ მნიშვნელოვანია, მაღალკვალიფიციურ სოციალურ მუშაკთა მომზადება. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით (საქმიანობა 2.), გათვალისწინებული იყო სოციალური მუშაკებისათვის დროებითი სტატუსის განსაზღვრა და მათი საქმიანობის ლეგიტიმაცია, თუმცა, აღნიშნული აქტივობა არ განხორციელდა და გადავიდა 2009-2010 წლის სამოქმედო გეგმაში, რომლის შემსრულებლად

19. ფონდი შექმნილია მთავრობის მიერ რათა იმუშაოს 2009 წელს მიმდინარე ოჯახში ძალადობის საკითხებზე, დროთა განმავლობაში ის იცვლება სხვა დადგენილებით და ასახავს თავის ახალ მანდატს.

20. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, საქართველოს საჭიროებების შეფასება, 9 ოქტომბერი, 2008, 107

mestic and sexual violence has been prioritized also in the Georgia Joint Needs Assessment of August 2008 events[20].

Preparing highly qualified social workers is of no less significance. According to the 2007-2008 Action Plan on Measures for Fighting Violence in the Family and Protecting the Violence Victims (Action 2), determining temporary status for social workers and legitimizing their activities was considered. However, the mentioned activity was not undertaken and was postponed into the 2009-2010 Domestic Violence National Action Plan, with Ministry of Labor, Health and Social Affairs and Interdepartmental Council put being in charge of this activity. NGOs prepared university module for social workers “Basic Gender Issues and Fighting against Domestic Violence”, which was piloted with practicing social workers in 2009 and was agreed with the Ministry of Labor, Health and Social Affairs and since the academic year 2010-2011 been introduced as an optional course for bachelor and master students of Tbilisi State University[21].

Non-governmental human rights organizations work effectively to resolve the abovementioned problem. According to the statistics, victims of violence in Georgia are generally women and the perpetrators are mostly men. According to the official data of the Ministry of Internal Affairs, in 2007, 523 offenders were men, whilst 509 women proved to be victims. In 2008 there were 178 male perpetrators and 189 female victims, in 2009 164 and 163 respectively. In the first quarter of 2010 there are 39 male perpetrators and 40 female victims[22].

20. The United Nations, the World Bank, Georgia Joint Needs Assessment, October 9, 2008, 107.

21. “Interdepartmental and Societal Measures for eliminating Family Violence in Georgia”- project implemented with the assistance of the UN Trust Fund for Eliminating Violence against Women

22. Data of the National Statistics Office of Georgia, official web-page, available on-line at: www.statistics.ge

განსაზღვრულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საუწყებათაშორისო საბჭო.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, მომზადდა, საუნივერსიტეტო კურსი, ,,გენდერის ძირითადი საკითხები და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა", სოციალური მუშაკებისათვის, რომელმაც აპრობაცია გაიარა ჯანდაცვის სამინისტროს სოციალურ მუშაკებთან (ტრენინგების სახით) და 2010 წლის სექტემბრიდან, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ინერგება, როგორც არჩევითი საგანი ბაკალავრებისა და მაგისტრებისათვის.[21]

ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, ეფექტურად მუშაობენ ზემოთაღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში ძალადობის მხსვერპლნი, ძირითადად, ქალები არიან, ხოლო მოძალადეთა შორის, ძირითადად, კაცები სჭარბობენ. 2007 წელს, მოძალადე - 523 მამაკაცი იყო, მაშინ, როდესაც მსხვერპლს - 509 ქალი წარმოადგენდა. 2008 წელს, მოძალადე -178 მამაკაცი, ხოლო, მსხვერპლი - 189 ქალი, 2009 წელს, მოძალადეთა შორის 164 მამაკაცია, მსხვერპლი - 163 ქალი, 2010 წლის I კვარტალში, მოძალადე - 39 მამაკაცი, ხოლო მსხვერპლი - 40 ქალი. [22]

სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ საქართველოში გამოვლენილია ძალადობის ფორმათა მთელი სპექტრი - სექსუალური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური. ძალადობის ფაქტებმა იმატა, სხვადასხვა დროს გაჩაღებული კონფლიქტებისა და სამოქალაქო ომის შედეგად. ძალადობის ფაქტებს ადგილი ჰქონდათ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების დროს. სხვადასხვა

21. ,,საუწყებათაშორისო და საზოგადოებრივი ზომები ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად საქართველოში" - პროექტი განხორციელდა ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად გაეროს სატრასტო ფონდის მხარდაჭერით.

22. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები, ხელმისაწვდომია: www.statistics.ge

Studies conducted in different periods make known that in Georgia the whole specter of different forms of violence – sexual, physical, psychological and economic. The facts of violence increased as a result of conflicts and civil wars in different periods in Abkhazia and South Ossetia. Different forms of violence, among them sexual violence, are documented during the armed conflict of August 2008. In partnership with Institute for Policy Studies, UNIFEM carried out the Needs Assessment of Internally Displaced Women as a Result of August Events. Through 5-29 September, 1,144 IDPs (47.1 percent men and 52.9 percent women) were surveyed. The survey revealed that 6.3 percent of respondents had information about sexual violence committed against women, out of this 6.3 percent (70 respondents) - 21.4 percent said they had information about cases of rape, 32.8 percent about group rape, 14.3 percent about attempt of rape and 31 percent did not specify the kind of sexual abuse. Only 1 percent i.e. 10-11 respondents reported witnessing rape. Taking into consideration the taboo associated with the issue of sexual violence in the Georgian society, we may assume that the findings of the survey shed light only on the tip of the iceberg, clearly signaling the need for having respective response mechanisms in place. When asked about family conflicts during the displacement, 3.6 percent of men and 8.6 percent of women reported witnessing such conflicts and instances of domestic violence.

Women's Advice Center "Sakhli" started to research domestic violence in 2001. Violence in the Family - the Study of the Gender Attitudes was published 2002, revealed that 94.8% of interviewed 400 respondents (50.5% women and 49.5% men) identified beating/battering as the

სახის ძალადობა, მათ შორის სექსუალურიც, დაფიქსირებულია 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დროსაც. პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, UNIFEM-მა განახორციელა, აგვისტოს მოვლენების შედეგად, იძულებით გადაადგილებულ ქალთა საჭიროებების შეფასება. 5-დან 29 სექტემბრამდე, 1144 იძულებით გადაადგილებული პირი (27,1.% მამაკაცი და 52,9% ქალი) იქნა გამოკითხული. კვლევამ ცხადყო, რომ რესპონდენტების 6,3%-ს ჰქონდა ინფორმაცია, ქალის მიმართ, სექსუალური ძალადობის შესახებ. ამ 6,3%-დან (70 რესპონდენტი) 21,4%-მა აღნიშნა, რომ ფლობდნენ ინფორმაციას გაუპატიურების, 32.8%-მა — ჯგუფური გაუპატიურების, ხოლო 14.3%-მა — გაუპატიურების მცდელობის შესახებ. 31%-მა არ დააკონკრეტა, თუ რა სახის სექსუალური ძალადობის შესახებ ჰქონდა ინფორმაცია. მხოლოდ 1%-მა, ე.ი. 10-11-მა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ გახდა გაუპატიურების მოწმე. ქართულ საზოგადოებაში გაუპატიურებასთან დაკავშირებული ტაბუს არსებობის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კვლევის შედეგები აისბერგის მხოლოდ თავს ასახავს, რაც ცხადყოფს, ადგილზე, ეფექტური რეაგირების მექანიზმების საჭიროებას. რესპოდენტები გამოკითხულ იქნენ, გადაადგილების დროს, ოჯახში კონფლიქტის შესახებ - მამაკაცთა 3.6%-მა და ქალთა 8.6%-მა დააფიქსირა, რომ შეესწრო ამგვარ კონფლიქტებსა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებს.

2001 წელს, ქალთა საკონსულტაციო ცენტრმა "სახლი", დაიწყო ოჯახში ძალადობის კვლევა. ,,ძალადობა ოჯახში — გენდერული დამოკიდებულებები"-ს კვლევამ, რომელიც

manifestation of domestic violence[23]. 62.1% of men and 52.5% of women acknowledged that domestic violence takes place in Georgian families[24]. The NGO Caucasus Women's Research and Consulting Network completed their multi-component domestic violence research in 2005[25]. The aim of this research was to understand the dominating forms of domestic violence as well as to explore the scope of the problem[26]. In the framework of this study there were interviewed 1000 women[27] selected through random sampling from those women in Georgia who have experienced married life for longer than one year. Women were interviewed in all but conflict regions of Georgia. The research found out that "every fourth or fifth woman (22.2%) admits that they have experienced physical abuse. And for 5.2% of women this experience was very frequent[28]." According to the most recent (2009-2010) and wide-scale representative study of the UNFPA every 10-11 woman in Georgia has suffered physical violence at least once in her life time from her husband or a partner[29].

According to the Art.20 of the law, rehabilitations centers for perpetrators of domestic violence

23. Rusudan Pkhakadze, dzaladoba ojaxshi – genderuli damokidebulebebis kvleva, (Violence in the family – the study of gender attitudes), NGO Sakhli, OXFAM GB, Tbilisi, 2002, 6.

24. Ibid, 8.

25. Nino Tsikhistavi, Nana Berekashvili, (eds.), Domestic Violence against Women: Multi-Component Research, Tbilisi, 2006. The research was carried out with the financial support of the Global Fund for Women in 2005 and was published in English and Georgian with financial support of the UN Country Team in Georgia in 2006.

26. Ibid, 8.

27. Plus 50 women for a pilot study. Ibid. 11. Out of 1000 women 79.2% was in their first marriage, 7.3% was divorced, 2.4% was remarried after divorce, 8.7% was widowed. 0.6% was in a new marriage after widowhood, 1.1% was in unregistered marriages. Ibid. 13.

28. Ibid, 41.

29. UNFPA, National Survey of Domestic Violence against Women in Georgia, Tbilisi, 2009, preliminary findings shared with civil society in June 2010.

